# ასეთი დაცვით შორს ვერ წავალთ

**თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 13 ივნისი. მოღრუბლულობა, მთელი მატჩის განმავლობაში წვიმა. 25 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.**

**“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მოსკოვი) 1:2 (0:2).**

**გოლები გაიტანეს – ჩისლენკო (2) – 0:1, ჩისლენკო (28) – 0:2, ბარქაია (28)**

**თბილისი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ხართიშვილი, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი (მაისურაძე - 46).**

**მოსკოვი: რაკიტსკი, მუდრიკი, რიაბოვი, გლოტოვი, ანიჩკინი, ბობკოვი, კოროლენკოვი, ჩისლენკო, გუსაროვი, ავრუცკი, ვშივცევი (ცარიოვი - 46).**

**მსაჯი პ. ბელოვი; გვერდითი მსაჯები ი. ბოიჩენკო და გ. ზალომაევი (ყველა ლენინგრადი).**

მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრების ისტორიამ უკვე კურიოზული ხასიათი მიიღო. მოსკოველებს აბსოლუტური უპირატესობა აქვთ მოპოვებული და რა ფორმაშიც უნდა იყოს ეს გუნდი, რა კრიზისსაც უნდა განიცდიდეს, ჩვენთან იგი მუდამ კარგად თამაშობს.

ავიღოთ, თუნდაც, გუშინწინდელი შეხვედრა. სსრ კავშირის ათგზის ჩემპიონს წელს ცუდად აქვს საქმე. ისე ცუდად, როგორც არასდროს. ქუთაისელებთან მოგებული ერთადერთი მატჩის შემყურე, 13 ივნისისათვის იგი აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა. დამთავრდა შეხვედრა და მოსკოველებმა მეორე გამარჯვება მიუმატეს თავიანთ მოკრძალებულ აქტივს, ამასთან ი. ჩისლენკომ, დაღლილმა და დაქანცულმა, თქვა: “წელს ასე არ გვითამაშია. აწი დავიწყებთ...”

ახლა საერთო ბალანსმა ამ ორ გუნდს შორის ასეთ სენსაციურ ციფრებს მიაღწია: მოსკოველებმა მოიგეს 31 თამაში, თბილისელებმა - 7 (9 ფრე), ბურთების შეფარდება - 115:54. გამოდის, რომ ჩვენ ამ გუნდს 12 წლის განმავლობაში (?!) ზედიზედ უნდა მოვუგოთ ორივე წრეში და, ამასთან, საკუთარ კარში გოლის მიუღებლად 61 ბურთი გავუტანოთ, რომ 1977 წლისთვის თანაფარდობას მივაღწიოთ. საოცრად პესიმისტური ციფრები!

მოხდა ისე, რომ სწორედ ამ საპასუხისმგებლო და პრინციპული მატჩისთვის შეირყა თბილისელთა ძირითადი შემადგენლობა. მესხი, როგორც ცნობილია, მოსკოვის არმიელებთან ჩადენილი არასპორტული საქციელისთვის დისკვალიფიცირებული იყო, იამანიძე ავად გახდა, ხოლო კოტრიკაძეს ამ მატჩში მწვრთნელებმა ურუშაძე არჩიეს. აი, ამ პერეტრუბაციების შედეგად ჩვენმა გუნდამ ძალიან ციდად ითამაშა და განიცადა ზედიზედ მეორე მარცხი საკუთარ მინდორზე, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მოსკოვის “დინამოსთან” დამარცხება კვლავ რჩება მის მყარ და სამწუხარო ტრადიციად.

გაჟეჟილს გატეხილი ჯობია და მოვლენებსაც საკუთარი სახელები უნდა ეწოდოს: მატჩი, პირველ ყოვლისა, წააგეს მცველებმა და მეკარემ. მაგალითად,

ურუშაძე არ გამოვიდა მეორე ბურთზე, რითაც საშუალება მისცა ჩისლენკოს შეუფერხებლად გაეტანა იგი კარში.

ჩვენი დაცვის ბრაზილიურად განლაგებას მხოლოდ დეკორაციული, ბუტაფორიული ხასიათი ჰქონდა. საკმარისი იყო მოსკოველები კონტრშეტევაზე გადმოსულიყვნენ, რომ თბილისელთა დაცვის მთლიანობა იმსხვრეოდა, იშლებოდა და ყოველგვარი გეგმაზომიერება და ურთიერთმოქმედება, რის შედეგადაც მოპირდაპირე ფორვარდები სულ თავისუფლად ასწრებდნენ ღრმა ზურგიდან წინ გადმოსვლას ხანგრძლივი შეტევის შესაქმნელად. შეფასება "2" მიიღეს ბ. სიჭინავამ, ზეინკლიშვილმა, გ. სიჭინავამ, მაგრამ თუ ჩვენს თავს უფლებას მივცემთ გამოვყოთ უარესებს შორის უარესი, ეს უდავოდ, ცხოვრებოვია. არავითარი კრიტიკული საზომი არ მიუდგება მის თამაშს. მისი უშუალო "ქვეშეფი" - ძლიერი და სახიფათო ფორვარდი ჩისლენკო აკეთებდა ყველაფერს, რაც კი მოესურვებოდა. ეს სურვილები კი გამოიხატა იმაში, რომ მან 2 ბურთი გაგზავნა თბილისელთა კარში (მე-2 წუთზე ზუსტი საჯარიმო დარტყმით და 28-ე წუთზე უშუალოდ თამაშიდან, სწორედ ცხოვრებოვისა და ურუშაძის უხეში შეცდომის წყალობით). საერთოდ, სადღეისოდ ცხოვრებოვი თამაშობს ისე, რომ თუ მან არ იზრუნა საბრძოლო ფორმის გაუმჯობესებისთვის, მხოლოდ ზიანს მოუტანს თავის გუნდს.

ჩვენი აზრით, თბილისის "დინამოში" მხოლოდ ორ ფეხბურთელი იყო (ბარქაია და მეტრეველი), რომლებმაც გააკეთეს ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო წარმატების მისაღწევად. მაგრამ ორი - 11-დან, ეს ძალზე მცირე პროცენტია საიმისოდ, რომ წაღმა შებრუნდეს უკუღმა ნათამაშები მატჩის ბედი. ერთადერთი საპასუხო ბურთი სწორედ ბარქაიამ გაიტანა 70-ე წუთზე.

მოსკოველთა ამ გამარჯვებას ჩვენ კომენტარს არ ვუკეთებთ. იგი სავსებით დამსახურებული და კანონზომიერი იყო, მაგრამ ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ერთი "მცირე" შენიშვნა მივუძღვნათ ჰ. ბელოვის მსაჯობას.

ბელოვი გამოცდილი არბიტრია და მწვანე მინდვრის ცნობილი ვეტერანი. ვინ ვინ და მან კი მშვენივრად იცის, თუ რას ნიშნავს უხეშობა. არა წრესგადასული ერთი მორტყმა მოწინააღმდეგისათვის, არამედ ე.წ. "ტაქტიკური უხეშობა", რომელსაც შეიძლება ტრავმა და დასახიჩრება არ მოჰყვეს, მაგრამ მოპირდაპირე გუნდს სრულიად მოუშალოს თამაში და ამოაგდოს კალაპოტიდან. ასე თამაშობდა მოსკოველთა დაცვა. ყოველ "მოსახერხებელ" თუ მოუხერხებელ სიტუაციაში მუდრიკი, რიაბოვი, გლოტოვი, ანიჩკინი, კოროლენკოვი დაურიდებლად, უბოდიშოდ ხმარობდნენ ისეთ "დამხმარე" საშუალებებს, როგორიცაა სარმა, ხელით დაჭერა, ბლოკირება, ხელის კვრა და ა.შ. მართალია, ბელოვი არ ძუნწობდა სასტვენზე და მისი "სასულე ინსტრუმენტი" გაბმით ხმიანობდა მთელი თამაშის მანძილზე, მაგრამ ეს ჩვეულებრივი, რიგითი ჯარიმები, ეტყობა, თავიდანვე შედიოდა მოსკოვის "დინამოს" გეგმაში და გუნდიც მზად იყო კიდეც საამისოდ. თბილისელებს კი ამ "ტაქტიკურმა უხეშობამ" დიდი ზიანი მოუტანა, დაარღვია მისი შეტევის მთლიანობა. ჰ. ბელოვმა არაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ აღეკვეთა ეს ყოვლად დაუშვებელი, ფეხბურთის საზიანო სარეველა - უხეშობა.

**ბ. ქორქია.**

**"ლელო", 15 ივნისი, 1965 წ.**

**დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" 15.06.65**

**დუბლიორთა მატჩი 14 ივნისს არ შედგა. მატჩი გაიმართა მოგვიანებით და 2:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა. გოლები გაიტანეს ხუციშვილმა და მაისურაძემ (თბილისი), პანფილოვმა (მოსკოვი).**

**დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან" 21.09.65.**